ვამტკიცებ
წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის
მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის
დირექტორი ნინო ჯანჯღავა

ბრძანება№196; 23 სექტემბერი,2016წ.

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის განვითარების

სტრატეგიული გეგმა

2017-2023 წელი

სარჩევი

შესავალი 3

I. თვალსაწიერის განსაზღვრა 3

1. ხედვა 3

2. მისია 3

3. ღირებულებები 4

II. დაგეგმვა 4

1. **SWOT** ანალიზი 4

2. სტრატეგიული მიმართულებები 5

3. სტრატეგიული მიზნები 5

4. სტრატეგიული გეგმის მიზნები და განხორციელების გზები 5

4. დაფინანსების წყაროები 9

5. ძირითადი რისკები 10

6. სტრატეგიული გეგმის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება 10

შესავალი

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო სტანდარტით დადგენილ სწავლებისა და აღზრდის საგანმანათლებლო პროგრამებს, ქრისტიანული ღირებულებების შესაბამისად.

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სკოლა-გიმნაზიის განვითარების სტრატეგიულ გეგმას 2017-2023 სასწავლო წლებისათვის და შეიცავს სკოლის ხედვასა და მისიას, მიზნებსა და ამოცანებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლა-გიმნაზიამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით და დამატებითი რესურსების მოძიებით.

მოცემულ პერიოდში სკოლა-გიმნაზიის საქმიანობა დაეფუძნება სტრატეგიულ გეგმაში ასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას. სტრატეგიული გეგმის სწორად განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლა-გიმნაზიის საქმიანობას როგორ ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე.

I. თვალსაწიერის განსაზღვრა

1. ხედვა

- სკოლა-გიმნაზია არის უსაფრთხო და დაცული ადგილი;
- განათლება არის გაზიარებული პასუხისმგებლობა მოსწავლეებს, ოჯახებს, სკოლა-გიმნაზიის პერსონალსა და სასკოლო საზოგადოებას შორის;
- ყველა მოსწავლეს შეუძლია სწავლა;
- მოსწავლეების ჩამოყალიბება საკუთარი ქვეყნის პატრიოტ და წარმატებულ მოქალაქეებად;
- უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობისათვის;
- პედაგოგების უწყვეტ, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- სწავლება და სწავლა არის უწყვეტი პროცესი.

2. მისია

- წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს თავის საქმიანობას დაწყებით (I-VI კლ) საბაზო (VII-IX კლ) და საშუალო (X-XII კლ) საფეხურზე.
- სკოლა-გიმნაზია ვალდებულია შეუქმნას მოსწავლეს საუკეთესო პირობები სწავლისა და შემოქმედებითი განვითარებისათვის, უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო პროგრამების, სწავლის მეთოდებისა და ხარისხის გაუმჯობესებაზე.
- ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლებასთან ერთად, სკოლა-გიმნაზიაში უპირატესობა ენიჭება ქრისტიანული ღირებულებებისა და ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას.
- სკოლა-გიმნაზია ხელს უწყობს მოსწავლეებში კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებას, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

- ❖ სკოლა-გიმნაზია მიზნად ისახავს აღზარდოს ფიზიკურად, ზნეობრივად და ინტელექტუალურად განვითარებული, გულისხმიერი და შემწყნარებელი, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობა და თავის მხრივ, ხელი შეუწყოს ქვეყანაში ჯანსაღი, თავისუფალი, ღია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.
- ❖ სკოლა-გიმნაზიის დანიშნულებაა მოზარდების ინტეგრირება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

3. ღირებულებები

სკოლა-გიმნაზიის საქმიანობა ეყრდნობა შემდეგ ღირებულებებს:

- ქრისტიანული ღირებულებები
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გამჭვირვალობა
- პიროვნების ღირსების დაცვა და პატივისცემა
- გუნდურობა და კოლეგიალობა
- საკუთარი პასუხისმგებლობა

II. დაგეგმვა

1. SWOT ანალიზი

სკოლა-გიმნაზიის ხედვის, მისიის, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისა და საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე შედგა სკოლა-გიმნაზიის **SWOT** ანალიზი.

S (ძლიერი მხარეები)

- მოწესრიგებული, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო;
- სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი;
- ინოვაციები/თანამედროვე ტექნოლოგიები/პროგრამები;
- დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;
- გამორჩეული სასკოლო კულტურა;
- პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- კარგი რეპუტაცია და ცნობადობა;
- არაფორმალური განათლება;

O (შესაძლებლობები)

- მაღალკვალიფიციური პედაგოგები;
- უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში პედაგოგებისა და მოსწავლეების ჩართვა;
- სოციალური პროექტები;
- საგრანტო პროექტები;
- წარმატებული მშობლების მხარდაჭერა;

W (სუსტი მხარე)

- დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა;
- შემთავსებელი პედაგოგები;

- ინკლუზიურ განათლებაში პედაგოგებისათვის პროფესიული განვითარების ნაკლები შესაძლებლობა;
- კვლევებზე მუშაობის ნაკლები გამოცდილება;
- შიდა ხარისხის მონიტორინგის სისტემა;

T (საფრთხეები)

- დემოგრაფია;
- არასტაბილური სოციალური ფონი;
- ინფლაცია;
- საზოგადოებრივი აზრი, გავრცელებული სტერეოტიპი;

2. სტრატეგიული მიმართულებები

- ორგანიზაციული განვითარება.
- მომსახურებების გაუჯობესება;
- STEM საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა საინჟინრო ტექნოლოგიები) და ინგლისური ენის სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- განათლების ხარისხის გაუმჯობესება;

3. სტრატეგიული მიზნები

1. სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება;
2. კოორდინაციის შიდა მექანიზმების სრულყოფა;
3. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება;
1. უსაფრთხო და კეთილგანწყობილი სასკოლო გარემოს შექმნა;
2. არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და განვითარება;
3. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება;
4. მათემატიკის, უცხო ენებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების გაძლიერება X-XII კლასებში;
5. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება;
6. ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემების განვითარება;
7. სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება;
8. სასწავლო პროცესის მართვის გაუმჯობესება;
9. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა;
10. დაფინანსების წყაროები;
11. ძირითადი რისკები

4. სტრატეგიული გეგმის მიზნები და განხორციელების გზები

სტრატეგიული მიმართულება №1

ორგანიზაციული განვითარება.

მიზანი №1 სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება

ამოცანები:

1. სტრატეგიაზე დაფუძნებით წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;
2. სტრატეგიული გეგმის განხორციელების ანგარიშგებისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა;
3. სტრატეგიული გეგმის განხორციელების შეფასებისა და განვითარების პრაქტიკის დანერგვა.

მოსალოდნელი შედეგები:

ჩამოყალიბდება სტრატეგიული გეგმის განხორციელების და შეფასების გამართული სისტემა, რომელიც სკოლა-გიმნაზიის შემდგომი წარმატებული განვითარების გარანტი იქნება.

მიზანი №2 კოორდინაციის შიდა მექანიზმების სრულყოფა

ამოცანები:

1. კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით შიდა ელექტრონული ქსელის ფორმირება;
2. საქმისწარმოების წესის ჩამოყალიბება.

მოსალოდნელი შედეგები:

თანამშრომლებს შორის იქნება რეგულარული კომუნიკაცია.

მიზანი №3 ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება.

ამოცანები:

1. თანამშრომლების შერჩევა ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სკოლა-გიმნაზიის დებულების შესაბამისად;
2. შეფასებაზე დაფუძნებული წახალისების სისტემის დანერგვა;
3. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვა.

მოსალოდნელი შედეგები:

მოვიზიდავთ მაღალკვალიფიციურ, მოტივირებულ კადრებს, გავზრდით და შევინარჩუნებთ.

სტრატეგიული მიმართულება №2

მომსახურებების გაუმჯობესება;

მიზანი №1 უსაფრთხო და კეთილგანწყობილი სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა

ამოცანები:

1. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება და ხანძარსაწინააღმდეგო სასიგნალო მოწყობილობებით აღჭურვა;

2. კრიზისების მართვის პოლიტიკის შემუშავება;
3. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისა და ჩაგვრის მინიმუმამდე დასაყვანად ანონიმური გამოკითხვების ჩატარება და ინფორმაციის შეგროვება;
4. რეგულარული შეხვედრების დაგეგმვა ფსიქოლოგთან და სკოლა-გიმნაზიის მოძღვართან;
5. ძალადობის საწინააღმდეგოდ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა.

მოსალოდნელი შედეგები:
მოსწავლეებისა და პერსონალის უსაფრთხოება იქნება უზრუნველყოფილი და მივიღებთ კეთილგანწყობილ, ძალადობისგან თავისუფალ სასწავლო გარემოს.

მიზანი №2 არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და განვითარება
ამოცანები:
1. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დამკვიდრება;
2. საზაფხულო ბანაკის მოწყობა და მოსწავლეთა მონაწილეობა;
3. მოსწავლეების შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართვა;
4. პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მოძიება და თანამშრომლობა.

მოსალოდნელი შედეგები:
მოსწავლეებში ამაღლდება წიგნიერების დონე. მივიღებთ ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღ თაობას, ანალიტიკური აზროვნებით, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით.

მიზანი №3 დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება
ამოცანები:
1. სასკოლო მზაობის ჯგუფის შექმნა და მისი სასწავლო პროგრამების შემუშავება

მოსალოდნელი შედეგები:
პირველ კლასში მისაღები გარანტირებული კონტიგენტი და მათი სასკოლო მზაობა.

მიზანი №4 დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფა
ამოცანები:
1. ჯანსაღი ცხოვრების ხელშესაწყობად ღია სპორტული მოედნის მოწყობა;
2. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება;
3. საკლასო ოთახების კომპიუტერებით აღჭურვა.

მოსალოდნელი შედეგები:
სასწავლო პროცესი გახდება მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო.

სტრატეგიული მიმართულება №3

STEM საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა საინჟინრო ტექნოლოგიები) და ინგლისური ენის სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა

მიზანი №1 საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება X-XII კლასებში

ამოცანები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და ინგლისური ენის საათობრივი დატვირთვის გაზრდა და მაღალ სტანდარტებზე გათვლილი სასწავლო პროგრამების შექმნა;
2. საგნების გაძლიერებული სწავლებისათვის მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სემინარებზე, ტრენინგებზე, კონფერენციებზე დასწრების გზით;
3. უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები დაინტერესდებიან STEM საგნებით, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კვლევის, ანალიზისა და პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ასევე გამოუმუშავდებათ საინჟინრო და საკონსტრუქტორო უნარები.

მიზანი №2 მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება

ამოცანები:

1. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის უზრუნველყოფა ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებით, როგორიცაა ვირტუალური და რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია, ლეგოს რობოტოტექნიკა და სხვ.

მოსალოდნელი შედეგები:

დამატებითი სასწავლო რესურსი საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს და გაზრდის ინტერესს ამ საგნებისადმი.

მიზანი №3 ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემების განვითარება

ამოცანები:

1. ულტრათანამედროვე ტექნიკის საშუალებით ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება;
2. სკოლის ვებ-გვერდის განვითარება;
3. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში;
4. ვირტუალური და რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება;
5. ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში კლასგარეთ მუშაობისთვის.

მოსალოდნელი შედეგები:

სასწავლო პროცესი გახდება უფრო სახალისო და საინტერესო. ცნობისმოყვარეობისა და ახლის გაგების სურვილი ამაღლდება და გაიზრდება ტექნოლოგიების (კომპიუტერების, აიპადების, ტაბლეტების, ელექტრონული წიგნების) გამოყენების წილი სასწავლო პროცესში.

სტრატეგიული მიმართულება №4

განათლების ხარისხის გაუმჯობესება

მიზანი №1 სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგები გაუმჯობესება

ამოცანები:

1. მოსწავლეთა პროგრესზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების სისტემის განვითარება;
2. სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე, ციფრული და მულტიმედიური საშუალებების ფართოდ გამოყენება;
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა;
4. თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება მისი განვითარებისათვის;
5. მოსწავლეების წახალისება საკუთარი შესაძლებლობების მრავალმხრივად გამოხატვისა და განვითარებისათვის.

მოსალოდნელი შედეგეები:

გაუმჯობესებული სწავლა-სწავლების პროცესი და მოსწავლეთა მაღალი შედეგები.

მიზანი №2 სასწავლო პროცესის გაუმჯობესება

ამოცანები:

1. მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება;
2. თითოეული მოსწავლის მაღალი აკადემიური მოსწრების მოლოდინის დასახვა;
3. სწავლების თანამედროვე სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება;
4. რესურსების ეფექტურად გამოყენება;
5. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმების დახვეწა

მოსალოდნელი შედეგები:

გაუმჯობესდება სასწავლო პროცესის მართვა.

მიზანი №3 მასწავლებლების პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა

ამოცანები:

1. დირექტორის მიერ უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება;
2. დირექციის მიერ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მასწავლებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა;
3. პროფესიული განვითარების გეგმის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება.

მოსალოდნელი შედეგები:

მასწავლებლები განვითარდებიან პროფესიულად და მოხდება მათი კარიერული წინსვლა.

4. დაფინანსების წყაროები

სკოლა-გიმნაზიის დაფინანსების წყაროებია: სწავლის ქირა, საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოყოფილი სუბსიდია და მოსწავლის ვაუჩერული დაფინანსება;

სკოლა-გიმნაზიას სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად სჭირდება დაფინანსების დამატებითი წყაროები, ამისთვის რამდენიმე სამიზნე ჯგუფი არსებობს:

- საქველმოქმედო ფონდები და მეცენატები;
- სხვადასხვა საგრანტო კონკურსები;

- მოსწავლეთა მშობლები, რომელთაც უჭირავთ წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მზად არიან თავიანთი შვილების კეთილდღეობისთვის გაიღონ გარკვეული დახმარება;
- ბიზნესმენები, სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც საკუთარი საქმიანობის რეკლამირების მიზნით მზად არიან დააფინანსონ სკოლა-გიმნაზიის ესა თუ ის პროგრამა;
- ღონისძიებების, ორგანიზებული აქციების მოწყობის შედეგად შემოსული თანხები.

5. ძირითადი რისკები

- განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება;
- სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებულ კადრებში დაუგეგმავი ცვლილებები;
- დაფინანსების ცვლილება.

6. სტრატეგიული გეგმის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

1. შეფასების ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო საზოგადოებაში სკოლა-გიმნაზიის იმიჯისა და რეიტინგის ზრდა;
2. კონტიგენტის ზრდა;
3. სასკოლო საზოგადოების კმაყოფილება;
4. მოსწავლეების მაღალი აკადემიური მაჩვენებლები;
5. მოსწავლეების წარმატებები მათემატიკის, უცხო ენისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების რესპუბლიკურ და საერთაშორისო ოლიმპიადებში;
6. კურსდამთავრებულების წარმატებები ეროვნულ გამოცდებზე;
7. მოსწავლეთა ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში;
8. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა;
9. შემოსავლების ზრდა;
10. ავტორიზაციის მოპოვება.